

## გზმ ანგარიშის საჯარო განხილვა - კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. ქებაანში შპს „ევრობეტონის“ მიერ თევზის მოშენების მიზნით წყლის შესაკავებელი ნაგებობის (აკვაკულტურის მეურნეობის) მოწყობა და ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: წყლის შესაკავებელი ნაგებობის  
(აკვაკულტურის მეურნეობის) მოწყობა და ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ევრობეტონი“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: კასპის მუნიციპალიტეტი

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და  
განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის გზმ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

- 2024 წლის 2 ოქტომბერი, 13:00 საათი, კასპის მუნიციპალიტეტის მერია

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი  
გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს  
ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების  
წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ გზმ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და  
მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024  
წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი  
N150 ან ელ-ფოსტაზე: [eia@mepa.gov.ge](mailto:eia@mepa.gov.ge) (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე  
გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).  
დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი  
დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას  
უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.  
საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი  
ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა:  
[ph@eiec.gov.ge](mailto:ph@eiec.gov.ge), მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 12-ე მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი  
გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში



სსიპ გარემოსდაცვითი  
ინფორმაციისა და  
განათლების ცენტრი



გარემოს ეროვნული  
სააგენტო

საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან განცხადება დარეგისტრირდა **2024 წლის 16 აგვისტოს**. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:  
<https://ei.gov.ge/ka/info/795f77ae-d8df-4dc2-ae2b-3d4246883b58>